№5



# АЛЬБОМ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური ბიბლიოთეკის საქალაქო, საბავშვო, სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალების მიერ 1981 წელში ჩატარებული მასობრივი ღონისძიებების მოსაწვევი ბარათები და გაზეთებში გამოქვეყნებული რეცენზიები (მასალები)

ზემო იმერეთი ისტორიული არგვეთის საერისთავოს ტერიტორიაზე მდებარეობს. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ ეს მხარე უძველესი ხანიდან ყოფილა დასახლებული. არქეოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ჭიათურაში აღმოჩნდა როგორც ქვის, ასევე ძვლის იარაღები, მდიდარია ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურის ნაშთებითაც და რკინის მეტალურგიული კერებითაც. აღმოჩნდა მარგანეცი, რომლითაც დამტკიცდა, რომ ყვირილის ხეობაში მეტალურგია საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. ჩვენი ქალაქი მდიდარია ადრეული ისტორიული ძეგლებითაც. ამ მხრივ აღსანიშნავია კაცხის სვეტზე აგებული ორი მცირე ეკლესია, საინტერესოა მღვიმევის დედათა მონასტერი და სვერის ციხე.

ზემო იმერეთის სილამაზე მოგზაურებისთვის, ალაგ-ალაგ მომაჯადოებელია თვით შავი ქვის მაღაროების მახლობლადაც კი. ზემო იმერეთი ლამაზია არა მარტო თავისი მთებით, ტყეებით და მდინარეებით, არამედ მცხოვრებლებითაც. „აქ, ამ სამხრეთის კუთხეში, ქართველთ დიდკაცთა მეფე-აკაკი წერეთელი დაიბადა“ - ასე წერდა ქართველი ერის, ენის და აზრის დიდი მეგობარი [illegible] [illegible].

ყვირილის ვიწრო ხეობის ბინადარი მანგანუმის ქალაქი ჭიათურა შემოზღუდულია სოფლებით, რგანის, მღვიმევის, შუქრუთის და ჭირევის ქედის კლდეებით. ჭიათურის შუაზე ჩამოდის გადადის, დაუღალავი მდინარე ყვირილა, რომელიც სიცოცხლეს და შვენებას აძლევს ამ ლამაზ ხეობას.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობამ საბჭოთა მძიმე ინდუსტრიის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა, ამიტომ საქართველოს მძიმე ინდუსტრიის სანიმუშო შრომის, მთავრობის უმაღლესი ჯილდო - ლენინის ორდენი ჭიათურის მუშაკებმა დაიმსახურეს.

ჭიათურის მეტად მნიშვნელოვანი და მდიდარი წიაღისეული აქვს. ქალაქმა მადნის ამოღებისთანავე რიცხვმაც გაითქვა სახელი და მთელი ქვეყანა მოიცვა. იგი შავი მეტალურგიის მძლავრი კერა გახდა. ჭიათურის მანგანუმის მადანი ამჟამად ეგზავნება მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოს. მათ შორის ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას და სხვ. ჩვენს ქვეყანაში ქართულ მანგანუმის მადანს იღებს 100-ზე მეტი მსხვილი ქარხანა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მანგანუმის მადნის მრეწველობაში სრულიად ახალი ხანა

დაიწყო. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა კონცესიის სახით 20 წლის ვადით გადაეცა ამერიკელ კაპიტალისტებს „ჰარიმანს და კომპანიას", რის გამოც მარგანეცის მადნის მრეწველობა დაქვეითების გზას დაადგა. 1928 წელს გაუქმდა ჰარიმანთან დადებული ხელშეკრულება. 1928 წლიდან მუშაობას შეუდგა მარგანეცის ტრესტი.

მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ძვრები ხდება კულტურის დარგში. მრეწველობის ზრდის განვითარებასთან ერთად, რის ნაბიჯებით ვითარდებოდა კულტურა და განათლება. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განვითარებამ უფრო ორგანიზებული საფუძველი მიიღო 1896 წლის და შემდგომ პერიოდში.

მეფის თვითმპყრობელობის პერიოდში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა სახელმწიფო ხარჯზე მოულოდნელი ოცნება იყო. ამის გამო ზოგიერთ სოფელში მისი მცირერიცხოვანი ინტელიგენცია და განათლებას მოწყურებული მშრომელები თავიანთი ინიციატივით და საკუთარი სახსრებით ხსნიდნენ სამკითხველოებს. მაგ. 1917 წლის სოფელ ცხრუკვეთში ნ. ბარათაშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად დაარსებული იქნა მისი სახელობის სამკითხველო. შემონახული ცნობებით გახსნა ეს სამკითხველო, რომელმაც 30-იან წლებამდე იარსება. 1917 წლის ხალხის შემონახული ცნობებით სოფ. სვერში და სოფ. ხვიტ-ში დაარსდა აკაკი ჭოჭუძის სახელობის სამკითხველოები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე საგრძნობლად განვითარდა კულტსაგანმანათლებლო ქსელი. თემსაბჭოებთან შეიქმნა ქოხსამკითხველოები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მშრომელთა გათვითცნობიერების საქმეში.

ქალაქს გააჩნია მრავალი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულება, კულტურის სახლი, კინოთეატრი (ორი დარბაზით) პიონერთა სახლი, მხატვრული თვითმოქმედების წრეები.

ქ. ჭიათურის მცხოვრებთა რიცხვი 1982 წლის 1 იანვრისათვის 68600, წინა აღწერასთან შედარებით 4 ათასით ნაკლები. აქედან ქალაქში - 25400, სოფლად - 43200.

ახლა დიდი [illegible] სოფლები, რით ძირს უდაბურ და უკაცრიელ ადგილზე გაშენდა ინდუსტრიული ქალაქი ჭიათურა, რომელიც განთქმულია არა მარტო მარგანეცით, არამედ თავისი შესანიშნავი მშრომლებით,

გამოირჩეოდა მოღვაწეებით.

ყოველწლიურად უმჯობესდება მკითხველთა წიგნით მომსახურების ხარისხი. დღეისათვის რაიონის ქალაქის და სოფლის მოსახლეობას მომსახურებას უწევს კულტურის სამინისტროს სისტემის 1 ცენ-ტრალური ბიბლიოთეკა 79 ფილიალით. აქედან 8-საქალაქო (ცენტრალურიანად), 7-საბავშვო (1 სოფლად), 63-სასოფლო და 2 ავტობიბლიოთეკა.

ჭიათურაში 1923 წლიდან იყო სამკითხველო, სადაც მუშაობდა თამარ როგავაძე, ის იყო ძველი პროფკავშირის შენობაში, ჰქონდათ ცოტა წიგნები, ხელმძღვანელობდა მაშინდელი პროფკავში-რის თავმჯდომარე სილვა ხვედელიძე.

პირველი ბიბლიოთეკა ჭიათურაში იყო მანგანუმის ტრესტის ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობდა ძველი კავშირების გვერდით. ბინა იყო ერთი ოთახი, შემდეგ ბიბლიოთეკა გადატანილ იქნა ტრესტის კლუბში (ბინა მასში ცუდადაა) შემდეგ ის კლუბი დაიწვა და გადაიტანეს ბიბლიოთეკა. (გადატანილ იქნა ახალი კინოთეატრის შენობაში)

პირველი საქალაქო ბიბლიოთეკა დაარსდა 1936 წელს, რომელიც მოთავსებული იქნა ახლანდელი ყაზ-ბეგის ქუჩაზე, ის, სადაც მოთავსებული იყო რედაქცია და პირველი სართული დაკავებული ჰქონდა ბიბლიოთეკას (ეხლა ამ ადგილზე მოთავსებულია ქალაქის ცენტრალური აფთიაქი) ბიბლიოთეკის გამგე იყო ნუნუ ცოცქირიძე, მუშაკები იყვნენ ლიდა მამალაშვილი, ეთერ ვასაძე, მანანა ცქიმანაძე. (ამჟამად ქალი მუშაობს ტრესტის ბიბლიოთეკის გამგედ, მაგრამ როგორც გამოცდილი მუშაკი ირიცხება საქალაქო ბიბ-ლიოთეკის ფონდის განყოფილებაში).

ბიბლიოთეკა დაარსებით ამ დროისათვის 6000 ცალ წიგნს ითვლიდა. აქედან წიგნები მიჰქონდათ სოფლებში. რამდენიმე ხნის შემდეგ ის წიგნები ბრუნდებოდა უკან და მიჰქონდათ ახალი წიგნები (ახ-ლანდელი მოძრავი ბიბლიოთეკის სახით. 1941 წლიდან 1950 წლამდე ბიბლიოთეკის დირექტორი იყო მარო ბიწაძე. 1950 წლიდან 1958 წლის თებერვლამდე ელენე შუკაკიძე. 1958 წლის თებერვლიდან სიქველა-

ჩამდე ნათელა ჯაფარიძე, 1958 წლის სექტემბრიდან 1969 წლამდე ვეჯან შეკაიძე და 1969 წლიდან - მასხარაშვილი თინა.

საბავშვო ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო ახლანდელი წერეთლის ქუჩაზე. (ღვინიაშვილის სახლში) გამგე თამარ იაკობაშვილი, ბიბლიოთეკარი - ელენე ფხაკაძე.

ცენტრალური ჭიათურის საბიბლიოთეკო სისტემის წიგნადი ფონდი მოიცავს შემდეგს - 405 915 ბეჭდური ერთეულს. მკითხველი - 59253, გაცემულია 1132451 ც. წიგნი და ჟურნალ-გაზეთების კომპლექტი. აქედან ბავშვებზე გაცემული 279 830 ბეჭდური ერთეული.

ჩატარებულია - 2055 სახის სხვადასხვა მასობრივი ღონისძიება. აქედან ბავშვებისათვის - 473

Поздравляю!

ძვირფასო მეგობარო!

ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა მოგილოცავთ თქვენი ცხოვრების უველაზე ბედნიერ დღეს და გისურვებთ მხოლოდ სიყვარული, ერთგულება, სიმართლე და პატიოსნება ყოფილიყოს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახში.

თქვენი შეუღლებით კიდევ ერთი ახალი ოჯახი შეემატა ჩვენს ქალაქს, ჩვენს ქვეყანას. თქვენ მოვალე ხართ ღირსეული შთამომავლობა აღუზარდოთ სამშობლოს. შვილების ა ღ ზ რ დ ი ს რთული ამოცანის გადაწყვეტაში კი დიდ დახმარებას გაგიწევთ წიგნი, რომელსაც თქვენთვის სპეციალურად შევარჩევთ, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ თქვენ ჩვენი ბიბლიოთეკების ხშირი სტუმარი იქნებით.

დღეიდან თქვენ ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის საპატიო მკითხველი ბრძანდებით.

ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის საბჭო.

ჭიათურის სტამბა შეკ. № 4492, ტირ. 1000, 1981 წ.

შრომა აკეთილშობილებს ადამიანს.

ბ. ბელინსკი.

# მოსაწვევი ბარათი

ქ. ჭიათურა

1981 წელი

გიწვევთ წიგნის განხილვაზე

ქ. ჭიათურა

1981 წ.

გიწვევთ

საზოგადო-პოლიტიკური წიგნის

# კვირეულზე

23-28 თებერვალი

1981 წ.

ქ. ჭიათურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიწვევთ შეხვედრაზე

ქ. ჭიათურა 1981 წელი

## საინტერესო შეხვედრა 26-ე ყრილობის დელეგატებთან

მიმდინარე წლის 12 თებერვალს ქ. ჭიათურის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, №№ 2, 3, 4 საქალაქო, № 5 საბავშვო ფილიალებმა და ქალაქის კულტურის სახლმა ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობის დელეგატებს ლ. გამყრელიძეს, ე. წიწილაშვილს და მ. პაპიძეს.

შეხვედრა გახსნა № 2 ბიბლიოთეკა-ფილიალის უფროსმა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ არმა ქ. წერეთელმა, რომელმაც ილაპარაკა მე-10 ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების უდიდეს მიღწევებზე. ყრილობის დელეგატებს მიესალმნენ ლ. აბესაძე, ი. ტეფნაძე, ლ. გოგოლაშვილი, ლ. ჩიკმახოვი, თ. შიმშილაშვილი. მესამე საშუალო სკოლის ოქტომბრელებმა წარმოადგინეს საინტერესო მონტაჟი—„დიდება შრომას". ქალაქის კულტურის სახლთან არსებულმა ვოკალურმა ანსამბლმა შეასრულა რამდენიმე მუსიკალური ნომერი.

დასასრულს ყრილობის შთაბეჭდილებებზე ისაუბრეს ლ. გამყრელიძემ და მ. პაპიძემ.

წ. შუშანაშვილი.

1981 წლის 18 თებერვალი

## ბიბლიოთეკა პროპაგანდას უწევს სკკპ 26-ე ყრილობის მასალებს

დიდი გამოცოცხლებაა ამ დღეებში ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, აქ მოდიან ჩვენი ქალაქის მშრომელები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

ისინი ეცნობიან მდიდარ გამოფენას, რომელიც მოწყობილია დიდ და ნათელ დარბაზში. განსაკუთრებით ხალხმრავლობაა იმ სტენდის ირგვლივ, რომელზეც სკკპ და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების მასალებია მოთავსებული, აქვეა სარეკომენდაციო სია, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია ყველა სახის ლიტერატურასა და სტენდზე მოთავსებული მასალების შესახებ, იგი მკითხველს უადვილებს მიაგნოს მისთვის საინტერესო მასალა. ამ სიებით განსაკუთრებით სარგებლობენ პროპაგანდისტები და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავენი.

სამკითხველო დარბაზის მუშაკები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თითოეულ მშრომელამდე მიიტანონ ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ამ მიზნით აქ ხშირად ტარდება საუბრები, ლექცია-მოხსენებები, მკითხველთა კონფერენციები, თეორიული და თემატური საღამოები, შეხვედრები, კითხვა-პასუხის საღამოები, ზეპირი ჟურნალები, წიგნის განხილვები და სხვ.

ამ დღეებში ჩატარდა თემატური საღამო, რომელიც მიეძღვნა სკკპ 26-ე ყრილობას.

საღამო გახსნა ცენტრალური ბიბლიოთეკის მუშაკმა ლ. აბესაძემ.

მოხსენებები თემებზე—„ვ. ი. ლენინი ბიბლიოთეკებისა და წიგნის შესახებ", „რომ კომუნისტის სახელი ვატარო", „ჭიათურა სკკპ 26-ე ყრილობის ვახტზე"—წაიკითხეს კულტურის განყოფილების გამგემ ვლ. მეჭაკიძემ, საზოგადოება „ცოდნის" პასუხისმგებელმა მდივანმა შ. კაპანაძემ, სტალინის სახელობის მაღაროს პ ა რ ტ-ბიუროს მდივანმა ვ. სამხარაძემ.

საკუთარი ლექსები წაიკითხეს ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა მ. ბარჯაძემ და მკითხველმა თ. მიმშილაშვილმა.

დასასრულს გაიმართა მხატვრული განყოფილება.

გოგონა სამხარაძე,

ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის მკითხველთა მომსახურების განყოფილების გამგე.

1981 წლის 24 მარტი

## წინასაყრილობო დღეებში

მ უ დ ა მ ხალხმრავლობაა ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. ბიბლიოთეკის მუშაობაში იგრძნობა წინასაყრილობო სულისკვეთება—რეგულარულად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, თეორიული და თემატური, კითხვა-პასუხის საღამოები, ლექცია-მოხსენებები, შეხვედრები, ზეპირი ჟურნალი და სხვ.

ამ დღეებში ბიბლიოთეკამ და კულტურის სახლმა შეხვედრა მოუწყვეს ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მშრომელებს, რომლებიც სკკპ 26-ე ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

სტუმრებს მიესალმნენ და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს კულტურის სახლის მუშაკებმა.

გვირაბგამყვანებმა ნ. ცერცვაძემ, რ. გაბრიჭიძემ, ქ. ცერცვაძემ, ა. დვალაშვილმა ილაპარაკეს იმ შრომით აღტკინებაზე, რაც იგრძნობა მათს კოლექტივში წინასაყრილობო დღეებში.

შემდეგ ქალაქის კულტურის სახლის ძალებით გაიმართა მხატვრული განყოფილება.

გ. სამხარაძე,

ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის მკითხველთა მომსახურების განყოფილების გამგე.

„ჭიათურის მაღაროელი"

18 თებერვალი, 1981 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გიწვევთ ზეპირ ჟურნალზე

# მიმდინარეობს წიგნის კვირეული

25 მარტს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა და 30 მარტამდე გასტანს საბავშვო და ახალგაზრდული წიგნის საქალაქო კვირეული.

კვირეული გახსნა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა თინა მახარაშვილმა.

დამსწრეთ მიესალმნენ პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პარტკაბინეტის გამგე ზ. წერეთელი, კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ჯ. აბესაძე და სხვები.

კვირეულის მონაწილეებს წიგნის ბეჭდვის ისტორიაზე ესაუბრა № 5 საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი თ. გამყრელიძე. საკუთარი ლექსები წაიკითხეს ცენტრალური ბიბლიოთეკის უფროსმა ბიბლიოთეკარმა მ. ბარჯაძემ, თ. შიშნიაშვილმა და სხვებმა, ხოლო გამორჩენილ ქართველ პოეტთა ლექსები წიგნზე, დედა-ენაზე, ქართულ ვაზზე—პირველი, მეორე, მერვე, მეცხრე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. წიგნის კვირეულს ხალისი შემატა რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეთა სიმღერებმა.

ამავე დღეს მოეწყო საბავშვო წიგნების გამოფენა-გაყიდვა.

26 მარტს ახალგაზრდულ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა ქალაქის პოეტებთან, ხოლო ლიტერატურული დილა დევიზით „სიცოცხლე წიგნებთან, წიგნისათვის, წიგნში" ჩატარდა № 5 საბავშვო ბიბლიოთეკა-ფილიალში, მანდაეთის №№ 9, 60 საბავშვო, ნიგოზეთის და ხალიფაურის საშუალო სკოლების ბიბლიოთეკებში.

დღეს №№ 6, 7 საბავშვო ბიბლიოთეკებსა და ფილიალებში, ქალაქის პირველ, მეორე, მერვე, ნავარძეთის საშუალო სკოლების ბიბლიოთეკებში გაიმართება დისპუტები თემაზე: „როგორ ვკითხულობთ წიგნს?"

1981 წლის 27 მარტი

# «ვაშა ამ ახალ საქართველოს»...

ამ დღეებში № 5 საბავშვო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ერთად ჩატარდა ზეპირი ჟურნალი დევიზით: „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას", რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამოცე წლისთავს მიეძღვნა.

სამკითხველო დარბაზში თავი მოიყარეს ჩვენი ქალაქისა და სოფლის იმ მოწინავე ადამიანებმა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულებაში. აქვე იყვნენ ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდა და დამსახურებული პედაგოგები, სწავლის ფრიადოსნები.

მშრომელთა დიდ წარმატებებზე და აღნიშნეს, რომ სწორედ მანგანუმის ქალაქის მშრომელთა თავდადებული შრომის აღიარებაა, რომ ჩვენი ქალაქი ზედიზედ მეშვიდედ დაჯილდოვდა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშით.

როგორც საკუთარი, ისე გამოჩენილი ქართველი პოეტების ლექსებით ზეპირ ჟურნალს ხალისი შემატეს სარქველეთუბნის ბიბლიოთეკის გამგე რუსუდან გაფრინდაშვილმა, მოსწავლეებმა ნ. მეგრელიშვილმა, მ. ჯაჯანიძემ, მ. ჭუმბურიძემ, ბ. კილაძემ, ი. მახარაშვილმა და სხვებმა.

საინტერესო მონტაჟი წარმოადგინეს მეორე და მერვე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

ზეპირი ჟურნალი მიჰყავდა № 5 საბავშვო ბიბლიოთეკა-ფილიალის ბიბლიოგრაფ აზა ბიწაძეს.

საბავშვო და ახალგაზრდული წიგნის საქალაქო კვირეულის

# პროგრამა

25-30 მარტი

ქ. ჭიათურა
1981 წელი

# ვაგრძელებთ საუბარს საკითხზე: დავძლიოთ დრომოჭმული, დავამკვიდროთ პროგრესული

საბჭოთა საზოგადოება ყოველთვის შეურიგებელ და უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა და ეწევა ყოველგვარი დრომოჭმული ნეგატიური მოვლენებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ.

ახასიათებდა რა პარტიის ამოცანებს რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „პარტია მიისწრაფვის სრულიად მოშალოს კავშირი ექსპლოატატორული კლასებისა და რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციას შორის, აგრეთვე ფაქტიურად ათავისუფლოს მშრომელი მასები რელიგიური

## ბიბლიოთეკათა სამოქმედო უბანი

ცრუ რწმენისაგან. აწყობს რა ამისათვის უაღრესად ფართო სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ანტირელიგიურ პროპაგანდას, ამასთან საჭირო ზრუნველობით ვერიდოთ მორწმუნეთა გრძნობების შელახვას, რასაც მოსდევს მხოლოდ რელიგიური ფანატიზმის განმტკიცება".

ამასთან ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობასთან მუშაობას.

საბჭოთა მთავრობა ყველა ღონისძიებას ატარებს იმისათვის, რომ საბჭოთა ხალხს და, მათ შორის, ახალგაზრდებს შეექმნას ყოფა-ცხოვრების საუკეთესო და სანიმუშო პირობები, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ აქვს ადგილი წარსულის გადმონაშთებს, რომელიც ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობის განვითარებას, ახალგაზრდობის აღზრდას და საერთო ყოფა-ცხოვრებას. ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებდა, რომ საბჭოთა ადამიანის ახალი სახე, მისი კომუნისტური მორალი და მსოფლმხედველობა ყალიბდება წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ მუდმივ უკომპრომისო ბრძოლაში.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წლის ნოემბერში მიიღო ვრცელი დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ".

ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კულტურის სამინისტროს მიაღწიოს, რათა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი გადაიქცნენ სოციალისტური წეს-ჩვეულებების, ტრადიციების და დღესასწაულების პროპაგანდის, მათს დანერგვაში მეთოდიკური დახმარების გაწევის ცენტრებად.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის ქალაქის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებანი გაატარეს. ქალაქის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ შეისწავლა ეს საკითხი და გამოირკვა, რომ ბიბლიოთეკები ღიად მუშაობას აწარმოებენ დადგენილების შესასრულებლად. კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა სემინარებზე ფართოდ განიხილეს საკითხი ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესახებ. ყველა ბიბლიოთეკას შეძენილი აქვს დადგენილების ცხოვრებაში განხორციელების ხელისშემწყობი ისეთი ლიტერატურის სია, რომელშიც მხილებულია მავნე ტრადიციების გადმონაშთების გზები და ბუნება.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარებულ მასობრივ ღონისძიებებში ვაბამთ ისეთ პირებს, ვინც არღვევს სოციალისტური ყოფისათვის დამახასიათებელ წეს-ჩვეულებებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მკითხველებთან საუბრებს, ვაზუსტებთ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე წაკითხულმა წიგნმა. დადგენილების პროპაგანდის მაღალ დონეზე დაყენებისათვის ჩვენი ბიბლიოთეკა-ფილიალების დაკომპლექტება ხდება ისეთი ლიტერატურით, რომლებიც ასახავენ წარსულის გადმონაშთების მავნეობას.

ამ დღეებში წირქვალის სასოფლო საბჭოს მიკროუბანში ჩატარდა ერთობლივი მასობრივი ღონისძიება — თემატური საღამო დევიზით: „ვებრძოლოთ მავნე წეს-ჩვეულებებს ავღზარდოთ ახალი ადამიანი". თემატური საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველთა მომსახურების განყოფილების გამგემ გ. სამხარაძემ.

ლექციები თემებზე „ახალი ადამიანის აღზრდა-ფორმირება თანამედროვე ეტაპზე პარტიის ერთ-ერთი საზრუნავია", „დრომოჭმული წეს-ჩვეულებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები", „სკკპ 26-ე ყრილობა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ" წაიკითხეს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პარტიული კაბინეტის გამგემ ზ. წერეთელმა, საზოგადოება „ცოდნის" ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა შ. კაპანაძემ, კულტურის განყოფილების გამგემ ვ. მუკაკიძემ.

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

გ. გარსევანიშვილი,
(ჩვენი კორ.).



# ზეიმით აღინიშნა

დიდი სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 36-ე წლისთავი დიდი ზეიმით აღინიშნა ჩვენი ქალაქისა და სოფლების თითქმის ყველა საწარმო-დაწესებულებამ. მოეწყო საინტერესო შეხვედრები ომში დაღუპულთა ახლობლებთან, ომის მონაწილეებთან. შინმოუსვლელთა სტენდებთან და ობელისკებთან გაიმართა საზეიმო მიტინგები, მოეწყო ექსკურსიები, ლაშქრობები.

გამარჯვების დღეს განსაკუთრებული მღელვარებით მოელიან ხოლმე ნორჩები, მათ სურთ მადლობა უთხრან ომგადახდილ ვაჟკაცებს ამ ნათელი და ულრუბლო ზეცისათვის, მათ მიერ ნაჩუქარი ბედნიერი ბავშვობისათვის. სწორედ ამიტომ შეიკრიბნენ ამ დღეებში ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში და მოწვეულ სტუმრებს — დიდი სამამულო ომის მონაწილეებს ვლადიმერ შუკაკიძეს, შოთა ტაბატაძეს, ვახტანგ ლოლაძეს, თამარ სოფრომაძეს, დარეჯან ქავთარაძეს მრავალი სამადლობელი სიტყვა, ლექსი და ყვავილი მიუძღვნეს მეორე, მესამე, მეცხრე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა. საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ომის მონაწილეები.

* * *

ალისფერ დროშებს და ნაირფერ ყვავილებს დაემშვენებინა იმ დღეს პირველი საშუალო სკოლის ეზო, ღონისძიება, რომელიც [illegible] სამამულო ომში [illegible] ხალხის გამარჯვების [illegible] წლისთავს მი[illegible] პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეთა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ი. ბერიძემ.

პირველკლასელებმა პედაგოგ ლ. რუხაძის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს მონტაჟი „ჩვენ მშვიდობა გვინდა", „ჩვენ მეგობრები ვართ".

ვოკალურმა ჯგუფმა შეასრულა სიმღერები მშვიდობაზე, ჭიათურაზე, შინმოუსვლელზე და სხვ. დამსწრეთა აღტაცება გამოიწვია ქართულმა და აჭარულმა ცეკვებმა.

დიდი სამამულო ომის ვეტერანმა შ. ტაბატაძემ სიტყვით მიმართა ახალგაზრდებს და უსურვა წარმატებები შრომასა და სწავლაში.

„ჭიათურის მუშაკი" 1981 წლის 13 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიგელები დაიმსახურეს

ბევრი ლამაზი და კარგი ღონისძიება მოეწყო მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში. ერთ-ერთი ასეთი იყო საბავშვო და ახალგაზრდული წიგნის საქალაქო კვირეული, რომელი 25 მარტიდან 31 მარტამდე მიმდინარეობდა.

კვირეული 25 მარტს გახსნა და წიგნის დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა თ. მახარაშვილმა, ხოლო დამსწრეთ ეს დღე მიულოცა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პარტკაბინეტის გამგემ, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ზ. წერეთელმა. ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა წაიკითხეს როგორც საკუთარი ისე გამოჩენილ ქართველ პოეტთა ლექსები. ამავე დღის მოეწყო საბავშვო წიგნების გამოფენა-გაყიდვა.

კვირეულის მეორე დღეს ახალგაზრდულ კლუბში თავი მოიყარეს პოეზიის მოყვარულებმა, მოსწავლეებმა მასპინძლობა გაუწიეს ჩვენი ქალაქის პოეტებს, ამავე დღეს სხვა ბიბლიოთეკათა სამკითხველო დარბაზებში ჩატარდა ლიტერატურული დილა „სიცოცხლე წიგნთან, წიგნისათვის, წიგნში", ხოლო 27 მარტს სასკოლო ბიბლიოთეკებში მოეწყო დისპუტი თემაზე: „როგორ ვკითხულობ წიგნს", ზეპირი ჟურნალი თემაზე: „ლენინის პარტია, ხალხის ძლიერება, წინ კომუნიზმისაკენ მიგვიძღვის ჩვენ".

30 მარტს საზეიმოდ დაიხურა წიგნის კვირეული. მასში აქტიური მონაწილეობისათვის, კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ჟ. აბესაძემ საქალაქო კომიტეტის სიგელები გადასცა მეხუთე, მერვე, მეროვეს საშუალო სკოლების მოსწავლეებს ლ. ჯანაშიას, მ. ჭუმბურიძეს, ბ. კილაძეს, ქ. ჯაოშვილს, მეხუთე, საბავშვო და ცენტრალურ ბიბლიოთეკებს.

ე. გაფრინდაშვილი.

7 აპრილი, 1981 წ.

ჭიათურის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ თავის საქალაქო და საბავშვო ფილიალებთან ერთად ჩაატარა ვაჟა-ფშაველას დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო გახსნა ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფმა ა. ბიწაძემ. დამსწრეებმა ინტერესით მოისმინეს № 3 საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალის დარბაზის გამგის ო. მეგრელიშვილის მოხსენება პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. თემაზე „ვაჟა — ბუნების მგოსანი" ისაუბრა ცენტრალური ბიბლიოთეკის მუშაკმა თ. გამყრელიძემ, ხოლო № 4 საქალაქო ფილიალის გამგემ ო. ვეფხვაძემ დამსწრეებს გააცნო ვაჟას თანამედროვეთა მოგონებები. სიტყვებით გამოვიდნენ და ლექსები წაიკითხეს რ. გაფრინდაშვილმა, ი. ცარციძემ ლ. შეყილაძემ, ბ. კილაძემ, თ. შიშმილაშვილმა.

დასასრულ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით წარმოადგინეს მუსიკალურ-მხატვრული კომპოზიცია.

თ. შიმშილაშვილი

26 აპრილი, წიგნის სამყარო, 1981წ.

„...დავგვიბრუნდნენ არა როგორც
ჯაბანი და ნარისხვალი,
დავგვიბრუნდნენ, როგორც ქარქაშს
უბრუნდება თავის ხმალი"

ი. გრიშაშვილი.

# გიწვევთ შეხვედრაზე

ქ. ჭიათურა
1981 წელი

# მიეძღვნა დიდ პოეტს...

ამ დღეებში ქალაქის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ და საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკებმა ახალგაზრდობის კლუბში ჩაატარეს ლიტერატურული საღამო მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას დაბადების 120 წლისთავისადმი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო ბიბლიოგრაფმა ა. ბიწაძემ.

მოხსენებები თემებზე „ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და მოღვაწეობა," „ვაჟა-ფშაველა ბუნების მგოსანი", „მოგონებები პოეტზე" წაიკითხეს № 3 საქალაქო ფილიალის დარბაზის გამგემ გ. მეგრელიშვილმა, ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგემ თ. გამყრელიძემ, № 4 საქალაქო ფილიალის გამგემ ი. ვეფხვაძემ.

დასასრულს გაიმართა მხატვრული კითხვა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები და მკითხველები. ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტმა ი. ცარციძემ და ბიბლიოთეკის მკითხველმა თ. შიმშილაშვილმა.

გ. სამხარაძე,
ცენტრალური ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი.

22 ივლისი, 1981 წ.

# გიწვევთ ლიტერატურულ საღამოზე

ქ. ჭიათურა,
1981 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინტერესო შეხვედრა

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს ქ. ჭიათურის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, № 3, 4 საქალაქო და № 5, 7, 60 საბავშვო ფილიალმა, ს. კავსაძის სახელობის სამუსიკო სკოლამ ამავე სკოლის საკონცერტო დარბაზში შეხვედრა მოუწყეს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის დელეგატს, ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, გვირაბგამყვან გიორგი ბაქრაძეს და ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს გვირაბგამყვანს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს გვირაბგამყვან გიორგი კაპანაძეს.

შეხვედრა ჩატარდა მუსიკალურ - ლიტერატურული პროგრამით, რომელიც მიჰყავდათ სამუსიკო სკოლის დირექტორს ნ. ჩუბინიძესა და ცენტრალური ბიბლიოთეკის უფროს ბიბლიოგრაფს ა. ბიწაძეს.

სტუმრებმა შთამბეჭდავად ისაუბრეს თავიანთ შრომით საქმიანობაზე და პასუხები გასცეს დამსწრეთა შეკითხვებზე.

თ. შიშშილაშვილი.

რედაქტორი
ალ. მეცხოვრიშვილი.

1981 წლის 27 ნოემბერი

მოსაწვევი
ბარათი

ქ. ჭიათურა
1981 წელი /

1981 წლის 22 აპრილი ,,ჭიათურის მაღაროელი"

# შეხვედრა ღია ცის ქვეშ

წყნარი, მზიანი ამინდი იდგა. ავტობუსი ნელა შეუყვა სოფელ თაბაგრების აღმართიან გზას. მანქანაში მყოფნი მხიარულ საუბარში გართულიყვნენ. კმაყოფილების იერი დაჰკრავდა მათ მომღიმარ სახეებს, რადგან მეტად საინტერესო შეხვედრა ელოდათ სოფელ თაბაგრების კოლმეურნეებთან, მეჩაიეებთან.

დიახ, სოფლის მშრომელებთან შესახვედრად მიიჩქაროდნენ ქალაქის კულტურის განყოფილების გამგე ვლადიმერ შუკაკიძე, საზოგადოება „ცოდნის" ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი შოთა კაპანაძე, ქალაქ ჭიათურის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გამგე გოგონა სამხარაძე და ქალაქის კულტურის სახლთან არსებული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „ჩანგის" წევრები. და, აი, ჩაის პლანტაციებიც გამოჩნდა, მეჩაიე ქალები ისვენებდნენ, ერთმანეთთან ბაასში ირთობდნენ თავს. აქ თავი მოეყარათ № 3 და № 4 ბრიგადების წევრებს (ბრიგადირები—პავლე და ბიძინა კენჭოშვილები).

ვის არ ნახავდით აქ, სარქველეთუბნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს აიდენგო ბიწაძეს, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ჯანელი მეცხოვრიშვილს, ეკონომისტ ელენა მეცხოვრიშვილს, ბრიგადირებს და სხვებს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გამგემ გოგონა სამხარაძემ. საზოგადოება „ცოდნის" ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა შოთა კაპანაძემ. წაიკითხა ლექცია თემაზე: „ბრძოლა გამოვუცხადოთ მავნე წეს-ჩვეულებებს, დავამკვიდროთ ახალი, საბჭოური ტრადიციები", ხოლო კულტურის განყოფილების გამგემ ვლადიმერ შუკაკიძემ წაიკითხა ლექცია— „სკკპ 26-ე ყრილობა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ".

სულგანაბულნი ისმენდნენ ლექციებს მეჩაიეები. ანსამბლმა „ჩანგმა" კიდევ ერთხელ მოხიბლა და დაატკბო კოლმეურნეები სიმღერებით, ეთერ სამხარაძე-ჭლამაძის ლექსი „ჩემი იმერეთი" წაიკითხა თაბაგრების რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასის ფრიადოსანმა მოსწავლემ დარეჯან თაბაგარმა. კიდევ ერთხელ ახმიანდა ლადო ასათიანის შესანიშნავი ლექსი „საქართველოში", რომელიც წაიკითხა ამავე სკოლის მოსწავლემ პაატა გვიმრაძემ. მეჩაიეებს საკუთარი ლექსით მიესალმა სარქველეთუბნის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე რუსუდან გაფრინდაშვილი.

ცეკვავდნენ 74 წლის გალინა კენჭოშვილი, ეთერ თაბაგარი, გუგული კაპანაძე, ალიოშა შეყლაშვილი, თეოფილე კენჭოშვილი, თენგიზ კენჭოშვილი და სხვები.

სტუმრებს მიესალმა პროფადგილკომის თავმჯდომარე ელენე მეცხოვრიშვილი. თაბაგრების რვაწლიანი სკოლის პედაგოგმა კატუშა აკობიამ მეჩაიეთა სახელით მადლობა გადაუხადა სტუმრებს.

გალინა კენჭოშვილმა აღნიშნა: კარგი იქნება, თუ სოფელ თაბაგრებში შეიქმნება ისეთი ეთნოგრაფიული ტიპის ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ანსამბლი, როგორიც „ჩანგია". ჩვენთან მრავლად არიან ამის მსურველები და მეც დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას ამ საქმეში,—ეს იყო ნამდვილი ზეიმი, შრომის დღესასწაული, ფოლკლორის საღამო, რომელიც კოლმეურნეებს არასოდეს დაავიწყდებათ.

ეს შესანიშნავი საღამო მოამზადა საზოგადოება „ცოდნის" ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობამ, ქალაქის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, ქალაქის კულტურის სახლმა, ქალაქის საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების მოძრავმა ავტოკლუბმა. სარქველეთუბნის სასოფლო საბჭოში შემავალმა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა და სარქველეთუბნის კოლმეურნეობის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ.

რუსუდან გაფრინდაშვილი,
სარქველეთუბნის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, კომკავშირული ორგანიზაციის წევრი.

# გ ი წ ვ ე ვ თ
# შ ე ხ ვ ე დ რ ა ზ ე

ქ. ჭიათურა
1981 წელი.

# გიწვევთ
# ზეპირ
# ჟურნალზე

ქ. ჭიათურა,
1981 წელი.

პატ. თ. მახარაშვილს

1981 წლის 16 ოქტომბერს კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს კლუბში მაღაროელები შეხვედრას უწყობენ მხატვრული ფილმის „მშობლიურო ჩემო მიწავ" შემოქმედებითს კოლექტივს.

დასაწყისი 18 საათზე.

. გთხოვთ მობრძანდეთ.

კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველო-

კულტურის განყოფილება.

ჭიათურის სტ.-შეკ. № 5688 ტირ. 250 1981 წ.

მ ო ს ა წ ვ ე ვ ი

ბ ა რ ა თ ი

1 9 8 1 წ.

მ ო ს ა წ ვ ე ვ ი

ბ ა რ ა თ ი

1 9 8 1 წ.

1981 წლის 7 იანვარი

# ნორჩებთან ერთად

ჭიათურის ცენტრალური ბიბლიოთეკის № 6 საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა-ფილიალში (გამგე რ. ნოზაძე), ჩატარდა საახალწლო დილა დევიზით „ყოველ ახალ წელს".

საახალწლო ნაძვის ხის ირგვლივ მხიარულობდნენ მე-5 და მე-7 საშუალო სკოლების მოსწავლეები. ვინ ლექსს ამბობდა, ვინ ცეკვავდა, ვინ მღეროდა, ბავშვები ერთი-მეორეს ეჯიბრებოდნენ საახალწლო ზეიმის კარგად ჩატარებაში.

საახალწლო დილაში მონაწილეობდნენ ნინო მუმლაძე, ელზა კაპანაძე, ლელა მოდებაძე, დები მაია და მადონა მაჭარაშვილები, მაკა და მანანა კირკიტაძეები, ნანა და დალი სამხარაძეები, და-ძმანი ნინო და გია გულიაშვილები, თამრიკო აბაშიძე, ეკა ჰონიშვილი, გია ბრეგვაძე და სხვ.

საახალწლო ზეიმმა დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.

ვენერა წერეთელი,
მშობელი.

მოსაწვევი ბარათი

XXVI ვიხილავთ ძირითად მიმართულებათა პროექტს

ყრილობიდან - ყრილობამდე - ღირსეული შრომით!

მოსაწვევი ბარათი

ს. ქვაციხე

1981 წელი

მოსაწვევი ბარათი

1981 წელი

მოსაწვევი ბარათი

საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავს მიეძღვნა

# «მშობლიურო ჩემო მიწავ»

ექვსი ათეული წელი გავიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, ბრძოლის, ძიების, შრომის, აღმშენებლობის ექვსი ათეული წელი. . . აღზევდა, ამშვენდა ჩვენი საყვარელი საქართველო, მისი მთა-ბარი. მამულის უსაზღვრო სიყვარული და რუდუნება სჩვევია ქართველს და ასე მოუღწევია აქამდე, [illegible] ვაჟისათვის ჭრილობები შეუხვევია, კვლავ გაუხარებია და აუყვავებია, ოფლი დაუღვრია, უწვალნია და ახლა საქართველო მოწინავეთა შორის მოწინავეა, მერვე წელია იგი ზედიზედ იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

„გიყვარდეს საქართველო!" — ბრძანებდა პოეტი და ჩვენც გვიყვარს იგი სულით ხორცამდე, რამეთუ უძვირფასესია მიწა მამულისა, რამეთუ უფაქიზესია და ამაღლებული გრძნობა მამულისადმი. ყველა თავისებურად გამოხატავს ამ სიყვარულს, გლეხკაციც და მუშაც, მეცნიერიც და პოეტიც, ხოლო პატარები, ჩვენი მომავალი თაობა, თავიანთი წკრიალა ხმებით რომ მღერიან და ლექსებს ამბობენ საქართველოზე, ფიცს დებენ, რომ უსაზღვროდ ეყვარებათ იგი, კიდევ უფრო აუმაღლებენ სახელს, თავს არ დაზოგავენ მისი კეთილდღეობისათვის, იქნებიან ჩვენი სასიქადულო წინაპრების საამაყო შთამომავლები. . .

აუღელვებლად ვერ მოისმენდით ცენტრალური ბიბლიოთეკის № 6 საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა-ფილიალისა და სამთამადნო კომბინატის კომუნალური მეურნეობის განყოფილების მიერ ამავე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში 19 თებერვალს ჩატარებულ ლიტერატურულ-მუსიკალურ მონტაჟს „მშობლიურო ჩემო მიწავ"...

ლონისძიება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავს მიეძღვნა, საინტერესო შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკა-ფილიალის გამგემ რიმა ნოზაძემ. შემდეგ კი მე-5 და მე-7 საშუალო სკოლების მოსწავლეთა შთამბეჭდავ გამოსვლებს ენაცვლებოდა ფირზე ჩაწერილი გულშიჩამწვდომი, უძველესი ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი", სვანური „ლილეო", სიმღერები „საქართველო", „სამასი არაგველი", „რა ლამაზი ხარ, ჩემო ქვეყანავ" და სხვ.

გულს ახარებდა დების ელიკო, ელისო და ლალი ჯანაშიების, დაძმა ლალი და მალხაზ ჯაფარიძეების, შანონი და ინგა კაპანაძეების წკრიალა ხმები, მათ მხარს უმშვენებდნენ ნინო გულიაშვილი და მაკა კენჭოშვილი, ნანა გვიმრაძე და ნინო მუმლაძე, მზია გველესიანი, ნანა სოფრომაძე და ნანა ნემსიწვერიძე.

ბიბლიოთეკის ნათელი დარბაზი ახალგაზრდული ხმებით აივსო, ნორჩებმა ხატოვნად გადმოსცეს ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარი ძირითადი მოვლენები, მოიგონეს დიდი სამამულო ომის ქართველი გმირები და ისინიც, ვინც ახლა „საუკუნის მაგისტრალის" ბამის მშენებლობაზე წარმატებული შრომით თავიანთ სიტყვას ამბობენ.

ღონისძიების ლამაზად ჩატარებისათვის ზრუნვა არ დაუკლიათ ბიბლიოთეკის გამგეს რიმა ნოზაძეს და თანამშრომლებს — მარინა ჩხეიძესა და მზევინარ სამხარაძეს, ნაგუთის მიკრორაიონის პედაგოგ-ორგანიზატორებს დარეჯან გაბრიჩიძეს და ლეილა ბახტურიძეს.

დიახ, ასეთი ღონისძიების შემდეგ არ შეიძლება უფრო მეტად არ შეგიყვარდეს მშობლიური საქართველო, არ შეიძლება უფრო მეტად არ იზრუნო მისი სახელისა და კეთილდღეობისათვის.

იზო ცარციძე.

25 თებერვალი, 1981 წ.

ჭიათურის ქრონიკა

ჭიათურა

# შეხვედრა ყრილობის დელეგატთან

ჩვენი ქალაქის მოწინავე ადამიანებს შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის მუშაობაში, იყო ქვედა უსახელოს 8 წლიანი სკოლის აღზრდილი მაგული პაპიძე, რომელიც ამჟამად ჭიათურის სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს.

ამ დღეებში საზეიმოდ მორთულ სკოლის დარბაზში პიონერები ყვავილების თაიგულით შეხვდნენ ღირსეულ ადამიანს.

შეხვედრა გახსნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მარინე პაპიძემ. მისასალმებელი სიტყვით და საკუთარი ლექსით დელეგატს მიმართა სამამულო ომის მონაწილე მასწავლებელმა კ. ლაბაძემ, მ. პაპიძის ბიოგრაფია დამსწრეთ გააცნო მე-7 კლასის მოსწავლე ლელა პაპიძემ. დელეგატმა დარბაზში მყოფთ გაუზიარა ყრილობაზე მიღებული შთაბეჭდილებები, მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის და ყველას უსურვა წარმატებები შრომასა და სწავლაში.

დასასრულს გაიმართა მხატვრული განყოფილება.

ღონისძიების ინიციატორები იყვნენ სკოლისა და სასოფლო ბიბლიოთეკის მუშაკები.

ნონა პაპიძე,
ქვედა უსახელოს რვაწლიანი სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

გიწვევთ წიგნის
განხილვაზე

„ძველო ფუძევ მრავალ ჭირის მნახველო,
ოფლდაღვრილო, ბევრჯერ სისხლით
ნაბანო,
ფინააპართა ღირსეულო სახელო
და გმირების მუდამ თბილო აკვანო“!

ა. აბაშელი

# მოსაწვევი
# ბარათი

ქ. ჭიათურა
1981 წელი

მოსაწვევი
ბარათი

ქ. ჭიათურა
1981 წ.

მოსაწვევი
ბარათი

ქ. ჭიათურა
1981 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

" განვიხილავთ პარტიის XXVI
ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური
კომიტეტის პროექტს ! "

მოსაწვევი ბარათი

1981 წ.

მოსაწვევი
ბარათი

1981 წელი
სოფ. ქვასიხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . . . . . . . . . .

"თიმ მარისხვა ყოვლისა ჩვენი
და ეღის ყმარ ოღმილს ჩვენი,
ჩვენ მვარს მიწავყოთმ ეღაღიშე
ლუკას
ვინც 'მამამ ოღისღოს პარტიის ტყავი"

მ ო ს ა წ ვ ე ვ ი ბ ა რ ა თ ი

ქ.ჭიათურა

1981 წ.

მოსაწვევი ბარათი

ა. [signature]

მოსაწვევი

ბარათი

ქ. ჭიათურა

1981 წ.

" არ დაგავიწყდეს: შენ საჭეს მართავ, ივანიშვილი კომუნის საჭეს".



ამხ. - - 

1981 წლის 28 თებერვალს საღამოს 5 საათზე ჭიათურის №4 საქალაქო ფილიალი თავის საკითხველო დარბაზში აწყობს მკითხველთა კონფერენციას მიძღვნილს სკკპ 26 ყრილობისადმი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის კვირეულისადმი დევიზით

"შენთვის პარტიავ ჩვენო, შენთვის სამშობლოვ ჩვენო!"

გ თ ხ ო ვ თ   მ ო ბ რ ძ ა ნ დ ე თ

პ რ ო გ რ ა მ ა შ ი ა :

I. შესავალი სიტყვა

ი.კეცხაძე

2. "კომუნისტებო წინ, კომუნისტებო წინ".

ვ.კაპლიშვილი

3. მხატვრული განყოფილება

მე

# მშრომელი ქალის სადიდებლად

დარბაზში მეფობდა ყვავილები, უთვალავი ღიმილი და სიხარული, გაზაფხულის უმშვენიერესი დღის 8 მარტის მობრძანებას რომ აღნიშნავს ხოლმე.

საუკეთესო სურვილები, ნაირფერი ყვავილები უძღვნეს საყვარელ პედაგოგებს ს. კავსაძის სახელობის სამუსიკო სკოლის მეშვიდეკლასელებმა, გამოხატეს ათასი მადლობა წლების მანძილზე გაწეული ამაგისათვის.

ეს სიყვარული ჩააქსოვეს პოეტური სტრიქონებისა და მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებაში, ქალის სადიდებლად შექმნილ ლამაზ ლექსებში, რომლის ადრესატებიც იმ დღეს მათი საყვარელი აღმზრდელები იყვნენ.

* * *

სამკერვალო ფაბრიკაში თითქმის ტრადიციულად დამკვიდრდა ღირსსახსოვარი თარიღების ზეიმით აღნიშვნა. ასე იყო იმ საღამოსაც. ლამაზი ყვავილებით დამშვენებულ დარბაზში ერთად შეიკრიბნენ ფაბრიკის მუშამოსამსახურეები, რომ ხელგამრჯე ადამიანებისათვის ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი მიელოცათ.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ფაბრიკის დირექტორი სულიკო ბურჯანაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ნათელა უზნაძე და სხვები.

ზეიმს დიდი შნო და ლაზათი მისცა მოფიქრებულად მოწყობილმა მხატვრულმა განყოფილებამ.

* * *

ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს მიუძღვნეს საინტერესო ღონისძიება უსახელოს სასოფლო კლუბმა, რვაწლიანმა სკოლამ, №№ 37, 72 ბიბლიოთეკაფილიალებმა.

ღონისძიებაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა ქვედა უსახელოს 8 წლიანი სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. პაპიძე.

თემაზე—„ქალი —დედა“— ისაუბრა ლ. ცუცქირიძემ, ხოლო დამსწრეთ მოწინავე ქალების ბიოგრაფიები გააცნო მ. ჯაოშვილმა.

დასასრულს გაიმართა მხატვრული განყოფილება.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 12 მარტს

1981 წლის 10 მარტი

# მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს

ცენტრალური ბიბლიოთეკის №-1 და № 62 ფილიალები ერთობლივად ბევრ საინტერესო და შინაარსიან ღონისძიებას ატარებენ.

ახლახან მათ საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს მიუძღვნეს გრიგოლ ჩიქოვანის წიგნების „თებერვალი დადგაო“ და „მიწა“ განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფილიალების გამგეებმა ლ. შეყილაძემ და გ. ცერცვაძემ. მკითხველებმა ისაუბრეს ნაწარმოებთა მთავარ გმირებზე, განმარტეს ნაწარმოების თემა და იდეა.

ამავე თარიღს მიეძღვნა მკითხველთა კონფერენცია დევიზით: „გიყვარდეს ჩვენი მხარე“.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა № 62 ფილიალის გამგემ ლ. შეყილაძემ.

დამსწრეებმა ინტერესით მოისმინეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკის ლ. მუმლაძის საუბარი „საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავი“. თემაზე „ქართველი პოეტები საბჭოთა საქართველოს შესახებ“ ისაუბრა პოეტმა თენგიზ გურჯიძემ.

დასასრულს გაიმართა მხატვრული განყოფილება. ქართველი პოეტების გ. ტაბიძის, შ. ნიშნიანიძის, ლ. ასათიანის, ო. ჭელიძის და სხვათა ლექსები წაიკითხეს ნორჩმა დეკლამატორებმა დებმა ჯანაშიებმა, მ. გველესიანმა, ნ. გულიაშვილმა, ნ. ცუცქირიძემ, ლ. ჯაფარიძემ, ნ. სოფრომაძემ, ნ. გვიმრაძემ და სხვებმა.

კონფერენციამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

ლ. გოგორიშვილი.

17 მარტი, 1981 წ.

მიეძღვნა სკკპ 22-ე ყრილობას

# თემატური საღამო

საზეიმო განწყობილებაა ჩვენს დიად ქვეყანაში, პლანეტის მილიონობით ადამიანის თვალი და გული მიპყრობილი იყო მოსკოვისაკენ, სკკპ 26-ე ყრილობისაკენ.

ამ საზეიმო დღეებში ქალაქის საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოეწყო ყრილობისადმი მიძღვნილი მრავალი ღონისძიება. ამას წინათ № 2 და 3 საქალაქო ბიბლიოთეკის ფილიალებმა მოაწყვეს ყრილობისადმი მიძღვნილი თემატური საღამო—„არ დაგავიწყდეს, შენ საჭეს მართავს ლეგენდარული კომუნის საჭეს“.

ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ რედაქციას აცნობეს თ. ნიორაძემ და ჟ. წერეთელმა.

1981 წლის 5 მარტი

„მარად ძველო და მარად ახალო,
დგახარ ამაყად, დაუზრახველად;
იხარე, მუხავ, ფესვებმაგარო,
შენ საქართველო გქვია სახელად“!

ი. ნონეშვილი.

# მოსაწვევი ბარათი

ქ. ჭიათურა
1981 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




მოსაწვევი
ბარათი

" დაირაზმეთ, წინ იარეთ,
ისწავლეთ და გაიხარეთ. . .
თქვენი საქმე წიგნი არის ,
მხოლოდ სწავლით გაიმარჯვებთ ".

ა. აბაშელი

მ ო ს ა წ ვ ე ვ ი

ბ ა რ ა თ ი

1 9 8 1 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაწვევი ბ ა რ ა თ ი

1981 წ.

მოსაწვევი ბარათი

ქ.ჭიათურა 1981წ.

მოსაწვევი ბარათი

1981

მოსაწვევი ბ ა რ ა თ ი

# თემატური საღამო

ხალხმრავლობა იყო მანდაეთის სასოფლო კლუბში. აქ თავი მოეყარათ სოფლის მეურნეობის მშრომელებს, სასოფლო საბჭოს აქტივს, საშუალო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობას.

ყველას ყურადღებას იქცევდა ლამაზად მოწყობილი გამოფენა „გიყვარდეს წიგნი—ცოდნის დაუშრეტელი წყარო“.

გამოფენა იწყებოდა ი. გოგებაშვილის —„დედაენით“ ხოლო ცენტრში ოქროსფერი ასოებით ბრწყინავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები: „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“.

თემატური საღამო დევიზით „შეისწავლე, გაუფრთხილდი, გადაეცი უმცროსს“, რომელიც მოაწყო მანდაეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობასთან არსებულმა წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ, შესავალი სიტყვით გახსნა ამ საზოგადოების თავმჯდომარემ მ. მუმლაძემ.

მოხსენებები „გიყვარდეს წიგნი—ცოდნის დაუშრეტელი წყარო“, „წიგნი ახალგაზრდობის მეგობარი“, „გზას ცხოვრებისას, გაგვიკვლევს წიგნი“ წაიკითხეს უ. კაპანაძემ, ლ. ციცქიშვილმა, ვ. ჩაჩანიძემ.

წარმოდგენილ იქნა მონტაჟი „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს“.

თემატურმა საღამომ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ვ. მუმლაძე.

1981 წლის 25 ოქტომბერი.

" შენ გაგიმარჯოს, ჩემო სამშობლოვ,
ჩვენი სიცოცხლე შენი ხარჯია,
შენ გაგიმარჯოს უფრო უმეტეს
ვიდრე ოდესმე გაგიმარჯვია! "
/ გ. ლეონიძე /

მოსაწვევი ბარათი

1981 წ.

# მოსაწვევი ბარათი

ქ. ჭიათურა
1981 წელი

# მოსაწვევი ბარათი

ქ. ჭიათურა
1981 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაწვევი
ბარათი

ქ. ჭიათურა
1981 წლის აპრილი

# მოსაწვევი ბარათი

ქ. ჭიათურა
1981 წელი

"მშობლიურო ჩემო მიწავ
შენ საყვარელ სახელს ვფიცავ.
გიცავდი და გიცავ მარად
გიცავდი და კვლავ დაგიცავ".
გ. ლეონიძე

მოსაწვევი
ბარათი

1981 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მარად ძველო და მარად ახალო,
დგახარ ამაყად, დაუზრახველად;
იხარე, მუხავ, ფესვებმაგარო,
შენ საქართველო გქვია სახელად"!
ი. ნონეშვილი.

# მოსაწვევი ბარათი

ქ. ჭიათურა
1981 წელი

## შეხვედრა ომის ვეტერანებთან

8 მაისს, ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, № 3 საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალმა და № 20 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებელმა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს კუნძულ ტექსელის აჯანყებისა და „მცირე მიწის" ბრძოლების მონაწილეებს, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს გერვასი იაკობიძეს, შალვა გურგენიძეს და ექიმ ლეო გველესიანს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა ვალერი კევლიშვილმა. საინტერესო მოხსენებით თემაზე „მცირე მიწისა" და კუნძულ ტექსელის მონაწილენი ჩვენი ქალაქიდან" გამოვიდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ნ. ჯაფარიძე.

სტუმრებს მიესალმა № 20 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში გ. თაბაგარი.

მოსწავლეთა ჯგუფმა, რომელშიც მონაწილეობდნენ ირმა არუსია, ია გოშაძე, ლელა ჭუმბურიძე (მეორე საშუალო სკოლა), ბესიკ კილაძე (მე-8 საშუალო სკოლა), წარმოადგინა მონტაჟი და წაიკითხეს ლექსები დიდი სამამულო ომის თემაზე.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ომის ვეტერანები.

დასასრულს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ნ. ჯაფარიძემ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

ა. მანჯავიძე.

1981 წლის
12 მაისი

## ბიბლიოთეკარი — აგიტატორი

სკკპ 26-ე და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებისათვის განსაკუთრებული როლის შესრულება ეკისრება აგიტატორის ცოცხალ, მართალ სიტყვას.

სოფლად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარების პრობლემების გადაჭრისათვის მშრომელთა დარაზმვას.

სამ წელიწადზე მეტია, რაც მანანა გოგესაშვილი საგიტაციო მუშაობას ეწევა ხრეითის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში. ამ ხნის მანძილზე კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. იგი საუბარს ყოველთვის უკანასკნელი დღეების მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვით იწყებს.

მოკლედ, დამაჯერებლად მოგვითხრობს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, ისმენს და ინიშნავს მშრომელთა სურვილებსა და წინადადებებს, რომელთა შესახებ ინფორმაციას უკეთებს ხელმძღვანელებს და ცდილობს შეძლებისდაგვარად დადებითად გადაწყდეს ისინი.

მეცხოველეობის ფერმაში მოწყობილია წითელი კუთხე, სადაც აგიტატორს გახსნილი აქვს მოძრავი ბიბლიოთეკა, წითელ კუთხეში სისტემატურად გამოდის ლამაზად გაფორმებული კედლის გაზეთი „მეცხოველის ხმა"..

მ. გოგესაშვილი საზოგადოებრივი დავალებების შესრულებას კარგად უხამებს სწავლას, იგი პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია და დღენიადაგ იმაღლებს ცოდნის დონეს, ცდილობს მუშაობა შეუხამოს საზოგადოებრივ პრინციპებსა და მოთხოვნილებებს, ხელმძღვანელობს მეგობრობის, კოლექტივიზმის და ინტერნაციონალიზმის პრინციპით.

წინ დიდი გზაა, დაე, სულ გამარჯვებებით გევლოს ამ გზაზე, მანანა!..

ზ. შაჟიმაძე,
ხრეითის მეცხოველეობის ფერმის მწველავი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი.



1981 წლის 19 მაისი

„ჩვენ ომი არ გვჭირდებოდა, მაგრამ როცა დაიწყო, დიდი საბჭოთა ხალხი ვაჟკაცურად ჩაება აგრესორების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში".
ლ. ი. ბრეჟნევი „მცირე მიწა".

# მოსაწვევი ბარათი

ქ. ჭიათურა
1981 წელი



მოსაწვევი

გიწვევთ

სამი თაობის

შეხვედრაზე

ქ. ჭიათურა—კაცხი.
1981 წელი



გ ი წ ვ ე ვ თ

შეხვედრაზე

ქ. ჭიათურა—ხვაშითი

1981 წ.

С днем рождения!



## „რად ეწოდება საქართველოს მგოსანთა მხარე?“

ამ დღეებში ქვედა უსახელოს რვაწლიანმა სკოლამ, № 37 ბიბლიოთეკამ და სასოფლო კლუბმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო მოაწყვეს.

შესავალი სიტყვით გამოვიდა სასოფლო კლუბის გამგე მარინე წერეთელი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო საქართველოს აწმყო და მომავალი. მოსწავლეებმა წარმოადგინეს მონტაჟი გ. ტაბიძის ლექსებზე — „რად ეწოდება საქართველოს მგოსანთა მხარე“.

საკუთარი ლექსები წაიკითხეს პაატა პაპიძემ და იამზე ცერცვაძემ, ხოლო ი. ნონეშვილის ლექსი „საქართველოში გაზაფხულია“ — ვეფხვია ცერცვაძემ.

ნორჩ ფოლკლორისტთა წრის (ხელმძღვანელი მ. პაპიძე) წევრებმა დამსწრეთ გააცნეს სოფელ ქვედა უსახელოში ჩაწერილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები — ანდაზები, გამოცანები, ლექსები და თქმულებები.

მ. ჯაოშვილი,
(ჩვენი კორ.).

1981 წლის 3 ივნისი

---

ბატ. . . . . . . . . . . . . . .

1981 წლის 16 ივლისს, 17 საათზე, ქვაციხის სასოფლო საბჭოს კლუბში, ტარდება თეორიული კონფერენცია დევიზით:

„სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში“.

გთხოვთ მობრძანდეთ.

საზოგადოება „ცოდნის“ ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა.

ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა.
ქალაქის კულტურის სახლი.

ქვაციხის სასოფლო საბჭოში შემავალი კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროგრამაში:

1. შესავალი სიტყვა
(ბ. სამხარაძე—ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გამგე)

2. „სკკპ 26-ე ყრილობა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ“.
((ი. გოგოლაძე—საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი).

3. „სკკპ 26-ე ყრილობა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების შესახებ“.
(ლ. ნეფარიძე—საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი).

4. „სკკპ 26-ე ყრილობა ახალი ადამიანის აღზრდა-ფორმირების შესახებ“
(შ. კაპანაძე—საზოგადოება „ცოდნის“ ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი).

5. მხატვრული განყოფილება

---

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# მოსაწვევი ბარათი

ქ. ჭიათურა, 1981 წ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსაწვევი ბარათი

ქ. ჭიათურა,
1981 წელი.

ბარათი

1981 წელი

# გიწვევთ

1981 წლის 20 ნოემბერს რგანის კულ-ტურის სახლში, სადაც გაიმართება საქართველოს სსრ ხელოვნების და-მსახურებული მოღვაწის ლოტბარ

## სოლომონ მეთოდესძე გველესიანის

ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

დასაწყისი 16 საათზე.

გთხოვთ მობრძანდეთ.

ქალაქის კულტურის განყოფილება
ქალაქის საისტორიო საზოგადოება.

ქ. ჭიათურა, 1981 წ.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იდეურ აღმზრდელობითი მუშაობა — ყურადღების ცენტრში

*　　*　　*

# ჯანსაღ ოჯახში ჯანსაღი შვილი იზრდება

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქვაციხის მიკრორაიონისა და რცხილათის საუბნო საბჭოებმა, ქ. ჭიათურის № 2 საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალმა, რცხილათის რვაწლიანმა სკოლამ, რცხილათის სასოფლო კლუბმა და ბიბლიოთეკამ რცხილათის სასოფლო კლუბში ჩაატარეს ერთობლივი ღონისძიება. მათ შეხვედრა მოუწყვეს საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი სამხედრო სწავლების ფრიადოსანის გოდერძი ვალიკოს ძე გამეზარდაშვილის მშობლებს.

ღონისძიებაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა ქვაციხის მიკრორაიონის რცხილათის საუბნო საბჭოს თავმჯდომარე დიდიმ ბარათაშვილი, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაზე, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციურ უფლება-მოვალეობაზე, სამშობლოს დაცვაზე და მიკროუბნის საბჭოს მიზნებსა და მის მომავალ გეგმებზე.

სამხედრო სწავლების ფრიადოსნის, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველის გოდერძი გამეზარდაშვილის შესახებ ისუბრა სასოფლო ბიბლიოთეკის გამგემ ნანული ბარათაშვილმა. რცხილათის რვაწლიან სკოლაში გ. გამეზარდაშვილის სწავლის პერიოდზე ილაპარაკა სკოლის პედაგოგმა, პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ვაჟა გოცაძემ, ხოლო კოლმეურნეობის ფერმაში შრომითი საქმიანობის შესახებ საინტერესო ფაქტებით გამოვიდა ამ ფერმის გამგე-ბრიგადირი სიმონ გამეზარდაშვილი.

გოდერძის დახასიათებისას მან თქვა, რომ იგი მუშაობასთან ერთად სისტემატურად კითხულობდა წიგნებს. პედაგოგმა, მეზობელმა ნუნუ მაღრაძემ ილაპარაკა გოდერძის ოჯახის საქმიანობაზე, ამ ოჯახში 6 ვაჟის აღზრდისა და მათი შრომითი საქმიანობის, ოჯახისა და სკოლის აღზრდის ერთობლიობაზე, ღონისძიებაზე მისალმებებით გამოვიდა კლუბის გამგე ციცინო გოცაძე.

მეტად გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს სამამულო ომის ვეტერანებმა იოველ ბარათაშვილმა, კლიმენტი ლაბაძემ და ლევან ჩაფიძემ.

გოდერძი გამეზარდაშვილის მშობლებს ტატიანა და ვალიკო გამეზარდაშვილებს კარგი შვილების სანიმუშო აღზრდისათვის ქვაციხის მიკრორაიონისა და რცხილათის საუბნო საბჭოების ქების სიგელი გადასცა და დღეგრძელობა უსურვა ქ. ჭიათურის № 2 ბიბლიოთეკა-ფილიალის გამგემ ქეთო ბარათაშვილმა, სკოლის პიონერ-მოსწავლეთა სახელით გამოვიდა VI კლასის ფრიადოსანი მოსწავლე თამარ გოცაძე.

ამ ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით მოწყობილი იყო შიგასასკოლო შეჯიბრება ფეხბურთში.

დასასრულ სამხედრო სამსახურის ფრიადოსნის გოდერძი გამეზარდაშვილის მშობლებმა მადლობა გადაიხადეს გულთბილი შეხვედრისათვის.

დ. დიდმაპიშვილი.

1981 წლის 10 ოქტომბერი

გიწვევთ

შეხვედრაზე

ქ. ჭიათურა, 1981 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლეგენდად ქცეული სიცოცხლე...

ოჯახის ფუძე-საძირკველი ხრეითში დაამკვიდრეს მშობლებმა — ბიჭია და ლიდა ჯაფარიძეებმა. ისინი აქ დაიბადნენ, აქედან გავიდნენ ცხოვრების დიდ გზაზე. შემდეგში ამ გზამ ლეგენდად აქცია მათი ლამაზი სიცოცხლე. ამაზე ბევრი დაიწერა და მომავალშიც ბევრი დაიწერება, ამის შესახებ ბევრი ითქვა მათი ხსოვნის აღსანიშნავ საღამოზე, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა ხრეითის სასოფლო კლუბში. ზოგიერთ საგულისხმო დეტალსაც გვინდა გავუსვათ ხაზი, საღამოს მონაწილე თბილისელმა სტუმარმა, მეცნიერმუშაკმა და სპორტსმენმა ელიკო აბაშიძემ თავის მოსაგონარ სიტყვაში შესანიშნავად თქვა: — „როცა მეშჩან-ობივატელების საპირისპიროდ ცხოვრებაზე უსაზღვროდ შეყვარებულს და რომანტიკული მგზნებარებით ანთებულ სახეებს წარმოვისახავთ, სიმონ, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები თავიანთი საფლავებიდან წამოიშლებიან". მართლაც რომ ასეა, ისინი უბრალონი, სახელღიმილიანნი, ყურადღებიანნი იყვნენ, მაგრამ, როცა ვითარება მოითხოვდა, დაუნდობელის დანდობა აღარ იცოდნენ. ამაყ კავკასიონს ქედი მოახრევინეს, იალბუზ მყინვარწვერი სულერთიანად მოთოკეს, პირქუში მრისხანე თეთნულდის სიჯიუტეც გატეხეს, მართალია, ამ ორთაბრძოლამ სიმონისა და ალიოშას სიცოცხლეს წერტილი დაუსვა, მაგრამ ალექსანდრამ ძმების წილ მთელი სიმკაცრით იძია შური, კიდევ ვინ ჩამოთვლის, რამდენი რამ მოიმოქმედეს მთების საიდუმლოთა გასახსნელად, მრავალ მითსა და ზღაპარში ჭეშმარიტების შესატანად.

ალსანიშნავია ერთი მომენტიც: მრისხანე 1942 წელს, როცა ფაშისტური გერმანიისაგან აშკარა დამონების საფრთხე საქართველოს მიწაწყალსაც დაემუქრა, როცა ჰიტლერის სამთოელთა დივიზიები კავკასიონზე ამოაღწიეს და აქედან მომაკვდინებელი ნახტომებისათვის ემზადებოდნენ, ალიოშა ჯაფარიძე ერთი პირველთაგანი იყო სხვა მამაც ქართველ ალპინისტებთან ერთად, საბჭოთა არმიის მეგზურობა რამ ითავა და გათავხედებულ მტერს საკადრისად მიუზღო. . .

ამ სამი დაძმასიდან, რომლებიც სამართლიანად ითვლებიან საბჭოური ალპინიზმის ფუძემდებლად და სიამაყედ, რომლებმაც მამაცთა სპორტის ამ სახეობას საქვეყნოდ აღიარება მოუპოვეს და სხვა სახის სამეცნიერო თუ ლიტერატურული შემოქმედებით ცხოვრებაშიც აქტიური წვლილი შეიტანეს, ამჟამად ცოცხალი აღარ არიან, მაგრამ ძალზე ბევრი ჰყავთ თაყვანისმცემელი და მიმდევარი, ეს კიდევ ერთხელ ნათელყო ხალხმრავალმა შეკრებამ, რომლის შესახებ ბევრი გაკვრით შევნიშნეთ და რომლის საერთო დონეზე კვლავ გვსურს გავამახვილოთ ყურადღება, ჩანს, რომ საკლუბო დაწესებულების თანამშრომლებს კარგად დაუგეგმავთ ღონისძიებათა საერთო ორგანიზაცია, მზადებაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ სოფლის ხელმძღვანელებსა და მთელ აქტივს, დარბაზში ტევა არ იყო, კოლმეურნეებთან მოსწავლეებთან და ჯაფარიძეთა ოჯახის ნათესავებთან ერთად ღონისძიებას ესწრებოდა სტუმართა დიდი ჯგუფი თბილისიდან. აქ იყვნენ სპორტული ორგანიზაციების თვალსაჩინო წარმომადგენლები, კინოს მუშაკები, უმაღლესი სკოლების, სამეცნიერო დაწესებულებების და შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ბევრი მათგანი მეტად საინტერესო მოგონებით და წინადადებით გამოვიდა, საღამო ილუსტრირებული იყო კარგად შერჩეული დოკუმენტური მასალით, ყველაფერი მოსაწონი და სასიამოვნო იყო, გარდა ერთისა, რატომღაც ამ საინტერესო საღამოზე დასწრებისაგან თავი შეიკავეს მოწვეულმა სტუმრებმა ჩვენი ქალაქიდან, იყო კი საჭირო მათი დასწრება და აი რატომ: მრავალრიცხოვანი სურვილებიდან და წინადადებებიდან, საინტერესო მოგონებათა შუქზე რომ გამოიკვეთა, წამყვანი ადგილი დაიჭირა ზრუნვამ იმაზე, რომ დიდებითად გადაწყდეს ხრეითში ჯაფარიძეთა სახლ-მუზეუმის გახსნის საკითხი. სადავოდ ვერავინ გახდის ღირს თუ არა საამისოდ გარჯა. ზოგიერთმა ორგანიზაციამ პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა. ეს ითქმის, პირველყოვლისა, ჭიათურის ქალაქის საბჭოს ს ა გ ზ ა ო უ ბ ნ ი ს მ ი ს ამართით, მან უკვე მიიყვანა კეთილმოწყობილი სამანქანო გზა დანიშნულ ადგილამდე, მაგრამ სხვა მხრივ არსებული ბევრი პრობლემა ისევ გადაუწყვეტელი რჩება. შევნიშნავთ იმასაც, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ კარგახანია გამოთქვა თანხმობა ამ მეტად საჭირო და სასარგებლო საქმის დიდებითად მოგვარებისათვის.

ა. შეყილაძე,
(ჩვენი კორ.).

1981 წლის 3 ნოემბრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუშაობა — ყურადღების ცენტრში

# შეხვედრა მოწინავეებთან

მშრომელი ახალგაზრდობისა-დმი უსაზღვრო პატივისცემას ემსახურებოდა შეხვედრა, რომელიც ამ დღეებში მოაწყო პერევისის კულტურის სახლმა, კალაურის სასოფლო კლუბმა, პერევისის, შუქრუთისა და კალაურის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებმა. მათ შეხვედრა მოუწყეს „საქსახკომსოფლტექნიკის" ჭიათურის გაერთიანების მოწინავეებს—მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა და ტექმომსახურების უფროს ინჟინერს ჯ. გოგოლაძეს, ტრაქტორისტებს, ვ. ჩხიტუნიძეს, ს. ცუცქირიძეს, ჟ. მუმლაძეს, ზეინკლებს კ. ნოზაძეს და ი. კარციძეს.

მოწინავეთა საქმიანობაზე, იმაზე, თუ რა წარმატებას აღწევენ ისინი შრომაში, ისაუბრა „საქსახკომსოფლტექნიკის" გაერთიანების მმართველმა ბ. კვიჟინაძემ. მოწინავე მშრომელებმა გულთბილი შეხვედრისათვის დიდი მადლობა მოახსენეს შეხვედრის ორგანიზატორებს და აღუთქვეს მათ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის პირად გეგმა-ვალდებულებებს 1 დეკემბრამდე გაანაღდებენ.

შემდეგ გაიმართა მხატვრული განყოფილება. ასპარეზი პერევისის საშუალო სკოლის მოსწავლეებს დაეთმო. მათ გულთბილად მიულოცეს საპატიო სტუმრებს შრომითი გამარჯვებები და თავიანთი შემოქმედებით დაატკბეს ისინი. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს დებმა ეკა და მაკა ლომიძეებმა, ნინო დევიძემ, ლალი წერეთელმა და სხვებმა. საპატიო სტუმრებს სიმღერით და ცეკვით მიესალმა პერევისის კულტურის სახლის მოცეკვავეთა ჯგუფი და გოგონათა კვარტეტი.

კარგი იქნება თუ ასეთი შეხვედრები ხშირად მოეწყობა სხვა სასოფლო საბჭოებშიც, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ახალგაზრდებში შრომითი ჩვევების ჩამოყალიბებას.

შეხვედრა მიჰყავდა პერევისის საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ინგა ჩიჩუას.

თ. ივერიძე.



მოსაწვევი ბარათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Фабрика Бумажных и
канцелярских изделий
Госкомиздата Груз. ССР
Альбом для фотоснимков

арт 0409 ГР
ост 81-115-78
цена 4 р. 60 коп.